ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N44

02.10.2024 წელი ქალაქ თბილისი,

14:00 საათი კახეთის გზატკეცილი N76

მიმდინარე წლის 02 ოქტომბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულება და ცენტრის სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა- მოგესალმებით, ჩვენ ვიმყოფებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალში, შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, დაახლოებით 3,000 0 ათას ლარამდე დაიხარჯა შენობის მოპირკეთება. ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას რომ დასრულებულია ეს პროცესი, თუმცა გარკვეული ხარვეზები არსებობს, რომელსაც კონტრაქტორთან ერთად ჩვენი გუნდიც ხელმძღვანელობს. სასწავლო პროცესი პარალელურად მიმდინარეობს გარკვეულ სივრცეებში. უახლოეს მომავალში იფუნქციონირებს სრული დატვირთვით. მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი ემსახურება 1000 მდე მოსწავლეს, მათ შორის 250 მდე სოციალურად დაუცველ მოსწავლეს. აქ ასევე დაგხვდებათ სახელოვნებო წრეები, თეატრალური სტუდია, სპორტული სივრცე და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შექმნილი შესაბამისი განყოფილებები, მინდა ავღნიშნო, რომ მოიხატა გარე და შიდა სივრცეები და უფრო შესაფერისი და მისაღები გახდა ახალგაზრდებისთვის. ასევე შევიძინეთ ახალი ინვენტარი რამაც სრულიად ახალი იერსახე შესძინა შენობას.

კომისიის წევრებმა სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - ობიექტს სრული სარეაბილიტაციო-სარემონტო, მათ შორის გამაგრებით სამუშაოები ჩაუტარდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამოიყო სპეციალური ადგილები როგორც არაფორმალური სწავლებისთვის, აგრეთვე, სპორტული და სახელოვნებო აქტივობებისთვისაც, მალე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის შენობა სრულად დაიტვირთება და მოემსახურება ბენეფიციარებს.

ქალაქ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკა და ცენტრის სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე